კონკურენციის სააგენტოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში

1. ზოგადი ინფორმაცია სააგენტოს შესახებ

დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციის სააგენტო შეიქმნა ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა მისი დებულება.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სააგენტოს საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს - კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის პირობების შექმნა და დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებებისა და ქმედებების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

ამ ამოცანათა სრულფასოვნად, დროულად და ხარისხიანად შესრულების მიზნით, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული კონკურენციის სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად განისაზღვრა სააგენტოს სტრუქტურა.



საჯარო კონკურსების საფუძველზე მოხდა სათანადო კვალიფიკაციის (პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი) კადრების შერჩევა და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოში დასაქმდა 22 თანამშრომელი.

ამასთან, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებზე დაყრდნობით შეიქმნა სსიპ კონკურენციის სააგენტოს ვებ-გვერდი - www.competition.ge.

2014 წელს სსიპ კონკურენციის სააგენტოს საბიუჯეტო (არასრული) დაფინანსება შეადგენდა 510 095 (ხუთას ათ ათას ოთხმოცდა თხუთმეტი) ლარს.

2. კანონშემოქმედებითი საქმიანობა (ნორმატიული აქტების მიღება)

,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 და მე-6[1] პუნქტების მოთხოვნათ შესაბამისად, შემუშავდა და მიღებულ იქნა შემდეგი ნორმატიული აქტები:

მთავრობის დადგენილებები:

1. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესი (მთავრობის 01.09.2014 წლის №529 დადგენილება)
2. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისები (მთავრობის 01.09.2014 წლის №526 დადგენილება)

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებები:

1. განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებადობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები (30.09.2014 წლის №30/09-1 ბრძანება)
2. საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა (30.09.2014 წლის №30/09-5 ბრძანება)
3. ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები (30.09.2014 წლის №30/09-3 ბრძანება)
4. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი (30.09.2014 წლის №30/09-4 ბრძანება)
5. თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გამოყენების წესი (30.09.2014 წლის №30/09-2 ბრძანება)

თავის მხრივ, ნორმატიული აქტების მომზადების პროცესში კონკურენციის სააგენტოს აქტიური საკონსულტაციო შეხვედრები ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებთან. **ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების პროექტები შეთანხმდა:** საქართველოს სამინისტროებთან; ეკონომიკურ საბჭოსთან; საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან; ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან *(შესაძლებლობის ფარგლებში მოხდა მათი რეკომენდაციების მაქსიმალური გათვალისწინება).*

გარდა აღნიშნული ნორმატიული აქტებისა, სააგენტოს მიერ მომზადდა და საანგარიშო პერიოდში სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებებით ასევე დამტკიცებულ იქნა კონკურენციის სააგენტოს 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა, სააგენტოს შინაგანაწესი, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი, სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულები და სხვა აქტები.

3. მოკვლევისა და მონიტორინგის საკითხები

ა) ნავთობპროდუქტების ბაზრის (ბენზინი, დიზელი ნავთი) მოკვლევა

- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ნავთობპროდუქტების ბაზრის (ბენზინი, დიზელი, ნავთი) მოკვლევა სააგენტომ დაიწყო **საკუთარი ინიციატივით, 2014 წლის 12 ნოემბერს;**
- გამოთხოვილ იქნა და დამუშავდა 2008-2014 წლების ინფორმაცია ნავთობპროდუქტების სფეროში მოქმედი 300-ზე მეტი ეკონომიკური აგენტისგან, სახელმწიფო უწყებებისა და სხვა სტრუქტურებისგან;
- მოკვლევის ფარგლებში, გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია სსიპ - შემოსავლების სამსახურისგან, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისგან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან, მეზობელი სახელმწიფოებიდან და სხვა უწყებებიდან;
- სააგენტო ახორციელებს ეკონომიკური აგენტებისგან ახსნა-განამრტებების მიღებასა და დაოქმებას;
- მიმდინარეობს ინფორმაციის საბოლოო შეჯერებისა და ანალიზის პროცედურები.

ბ) წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლის ბაზრის მოკვლევა

სს „ჯანმრთელობა“-ს განცხადების - საფუძველზე 2014 წლის 12 დეკემბერს დაიწყო საქმის მოკვლევა - სს „ბალნეოსერვისი“-ს (წყალტუბოს თერმული წყლების მოპოვებაზე 25 წლიანი ლიცენზიის მქონე კომპანიის) მიერ წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლების სავარაუდო მონოპოლიზაციის ფაქტზე. განმცხადებლის პოზიციით, დარღვევა გამოიხატება სს „ბალნეოსერვისი“-ს მიერ აუთვისებელი წყლის რესურსის კონკურენტი კომპანიისათვის გადაცემაზე უარის თქმაში.

გ) „ჯორჯია ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს განცხადების საფუძელზე საქმის მოკვლევა

შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია - ფოთი“-ს საჩივრის საფუძველზე 2014 წლის 29 დეკემბერს დაიწყო საქმის მოკვლევა - სსიპ - შემოსავლების სამსახურის მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტზე. განმცხადებლის პოზიციით, დარღვევა გამოიხატება შემოსავლების სამსახურის მიერ შპს „ინლენდ კონტეინერ ტერმინალი“-სათვის მონოპოლიური მდგომარეობის დაკავების ხელის შეწყობასა და შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია - ფოთი“-ს საქმიანობის ხელის შეშლაში.

დ) ფქვილის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტის მოკვლევა

საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია **„გლობალაგრო“-ს განცხადების** საფუძველზე 2014 წლის 12 დეკემბრიდან მიმდინარეობს საქმის მოკვლევა კომპანია **„კარატ ჰოლდინგი**“-ს მიერ საქართველოში შესყიდული 3 კომპანიის (შპს

„აგროსისტემები“, შპს „კარმენი“ და შპს „კარმენი K) მხრიდან ხორბლისა და ფქვილის ბაზრის მონოპოლიზაციის ფაქტზე.

ე) შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“-ს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევა

2014 წლის 24 დეკემბერს **შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“-ს საჩივრის საფუძველზე** დაიწყო საქმის მოკვლევა - სს „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილი კომპანიის - **შპს "ტრანს კავკასუს ტერმინალსი“-ს** მიერ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

ვ) ყავის ბაზრის მონიტორინგი

- 2014 წლის ნოემბრიდან სააგენტომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო **ყავის ბაზრის მონიტორინგი;**
- **შემოსავლების სამსახურიდან და სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან** მიღებული ინფორმაციების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყავის ბაზარზე მოქმედებს ათეულობით კომპანია, რომელთაგან **10%-ზე მეტი წილი თითქმის არცერთ კომპანიას არ გააჩნია;**
- დაბალია ასევე ამ ბაზარზე კონცენტრაციის დონე, რაც, წინასწარი ვარაუდით, უნდა მიანიშნებდეს, რომ კონკურენციის კუთხით ბაზარზე პრობლემა არ არსებობს.

4. ცალკეულ პრობლემებზე სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციები

რეკომენდაცია მთავრობის N360 დადგენილებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წერილისა და LLC ,,Audit end business consulting“-ის მომართვების საფუძველზე კონკურენციის სააგენტოს მიერ განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილების კონკურენციის კანონმდებლობასთან თავსებადობის საკითხი. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ **კანონმდებლობით არ არის დადგენილი ნუსხაში პირთა შეყვანის კრიტერიუმები,** ასევე, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტორული მომსახურების ბაზარზე არსებული გარემოს გაჯანსაღებისა და **სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვის მიზნით, სააგენტოს მიერ მომზადდა რეკომენდაცია** შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების თაობაზე: კერძოდ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ მთავრობის **დადგენილებით განისაზღვროს ზოგადი კრიტერიუმები,** რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, ყველას ექნება შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლება.

რეკომენდაცია აუდიტორული მომსახურების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის მომართვის საფუძველზე კონკურენციის სააგენტოს მიერ განხილულ იქნა ,,ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდგომ პერიოდში პროფესიული აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის სფეროში შექმნილი მდგომარეობის (აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის პროცესში ხელოვნური ბარიერების არსებობის საკითხი) თავსებადობა ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დირექტიულ მოთხოვნებთან.

საკითხის მოწესრიგების მიზნით გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, (მათ შორის საკანონმდებლო ცვლილების შეტანის კუთხით), რის საფუძველზეც მოხდა შესაბამის კანონში კონკრეტული ცვლილების შეტანა და განისაზღვრა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გასატარებელი ღონისძიებების ვადა.

5. საერთაშორისო ურთიერთობები

კონკურენციის სააგენტომ ჩამოყალიბებიდანვე ინტენსიურად დაიწყო გზების ძიება სხვადასხვა საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად, რასაც ხელი უნდა შეეწყო საერთაშორისო დონეზე საქართველოს კონკურენციის ორგანოს აღიარებისათვის. **ამ ეტაპზე კონკურენციის სააგენტო გაწევრიანებულია**:

- საერთაშორისო კონკურენციის ქსელში (ICN) – 2014 წლის 29 ოქტომბრიდან
- სოფიას კონკურენციის ფორუმში (SCF) - 2014 წლის 2 სექტემბრიდან.

საანგარიშო პერიოდში სააგენტო აქტიურად იყო ჩართული ასოცირების ხელშეკრულების გარშემო აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესში. ასევე, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) დოკუმენტის მომზადებაში.

გარდა ამისა, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციამ (EFTA) განიხილა საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა, რომელშიც მოიაზრება კონკურენციის ნაწილიც.

ასევე, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა მსოფლიო ბანკთანაც. კერძოდ, დაგეგმილია მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინება ,,კონკურენციის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადების პროცესში

კონკურენციის სააგენტოს ძალისხმევით OECD-GVH RCC-სთან თანამშრომლობით მიღწეულ იქნა შეთანხმება და **2015 წლის 22 – 24 სექტემბერს თბილისში ტარდება საერთაშორისო სემინარი თემაზე - პირდაპირი და ირიბი/რელევანტური მტკიცებულებები კარტელის შემთხვევებში.**

სემინარში მონაწილეობას მიიღებენ კონკურენციის საკითხებში OECD-ის ექსპერტები, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის 20-მდე ქვეყნის კონკურენციის ოფისის ხელმძღვანელები და კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლები, სადაც მოხდება კონკრეტული ქეისების განხილვა.

საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის სემინარების, ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება და დაფინანსება შემდეგი ორგანიზაციების მიერ:

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);
- პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელტა უფლებების დაცვის ოფისი (UOKiK);
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრი (OECD-GVH RCC).